აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-19/345
04/09/2020

345-02-19-2-202009041737

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ კახი ბექაურს

ბატონო კახი,

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თანდართული სახით გიგზავნით ინფორმაციას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მიერ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების საეთერო დროის და ტარიფების შესახებ.

დანართი:

1. ინფრმაცია წინასაარჩევნო ფასიანი რეკლამის განთავსების თაობაზე (ერთ ფურცლად).

პატივისცემით,

გიორგი კოხრეიძე

დირექტორი

დანართი 1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის
2020 წლის 04 სექტემბრის #02-03/ 37 ბრძანებით

2020 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისათვის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელელევიზია და რადიოს“ ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების დრო და ტარიფები

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) ეთერში ერთი დღის განმავლობაში წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის 2020 წლის 11 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში, როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური სუბიეტქბისათვის გამოყოფილი ფასიანი საეთერო დროის ხანგრძლივობა შეადგენს:

სატელევიზიო ეთერში - 18 წთ;

რადიო ეთერში - 24 წთ.

დღე-ღამის განმავლობაში ტელემაუწყებლობის ხარგრძლივობა - 18 (თვრამეტი) საათი.

დღე-ღამის განმავლობაში რადიომაუწყებლობის ხანგრძლივობა - 24 (ოცდაოთხი) სთ.

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ეთერში წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფი:

სატელევიზიო ეთერში		
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	1 წთ ფასი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით)
08:00-17:59	ორშაბათი-კვირა	700
18:00-23:59	ორშაბათი-კვირა	2500
00:00-02:00	ორშაბათი-კვირა	500

რადიო ეთერი FM 104.5		
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	1 წთ ფასი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით)
08:00-17:59	ორშაბათი-კვირა	200
18:00-23:59	ორშაბათი-კვირა	250
00:00-07:59	ორშაბათი-კვირა	100